F567 N3432

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 5 (189)

მარტი,

1968 წელი



გაზაფხულის პირველი ყვავილები.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ინახება აჭარის მუზეუმში

ბათუმი. ამას წინათ ქობულეთელმა ამირან ჯაფარიძემ აჭარის სახელმწიფო მუზეუმს საჩუქრად გადასცა ზღვის ნაპირას ქვიშაში ნაპოვნი ვერცხლის მონეტი. მის ერთ მხარეზე გამოსახულია ქალღმერთი ჰერა, ხოლო მეორეზე ფრთაგაშლილი ბუ.

არქეოლოგთა და ისტორიკოსთა განმარტებით მონეტი მოჭრილია საბერძნეთის ქალაქ ამისში არაუგვიანეს მეოთხე საუკუნის ოცდაათიანი წლებისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამ ვარაუდს ადასტურებს მონეტზე გაკეთებული წარწერა „ამის პირეა“, რაც ნიშნავს „ათენზე დამოკიდებული“. მონეტი არ შეიძლება მოჭრილი ყოფილიყო უფრო გვიან იმიტომაც, რომ, როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელმა 330 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე გაათავისუფლა ამისი ათენელთა ბატონობისაგან და დაუბრუნა მას დამოუკიდებლობა.

მუზეუმის ფონდს ამ ცოტა ხნის წინათ შეემატა კიდევ ერთი იშვიათი ექსპონატი — პონტოს სამეფოს დროის ვერცხლის ტეტრადრახმა. მონეტი იპოვეს ბათუმის სანაპიროზე მიწის სამუშაოების დროს.

მონეტის ერთ მხარეზე გამოსახულია პონტოს სახელმწიფოს ერთერთი უძლიერესი მეფე მითრიდატ მეექვსე, რომელიც 60 წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა რომაელთა ლეგიონებს. მეორე მხარეზეა მერანი. იქვეა მონეტის მოჭრის თარიღი „ბის“, რაც ნიშნავს 86-85 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ასეთი მონეტის აღმოჩენა ბათუმში შემთხვევითი მოვლენა როდია. როგორც ცნობილია, პონტოს სამეფო კოლხეთის უშუალო მეზობელი იყო სამხრეთიდან, და დროდადრო კოლხეთი შედიოდა მის შემადგენლობაში. ეს ორი მონეტი იშვიათი სამუზეუმო ექსპონატებია.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ინახება აგრეთვე ბევრი სხვა უნიკალური მონეტი. უმრავლესობა ძველქართული (კოლხური) ან მეზობელი სახელმწიფოებისაა. მათ შორის არის ეგრეთწოდებული „კოლხური თეთრი“ (ვერცხლი), რომელიც იჭრება მეექვსე-მეორე საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ერთ-ერთი უძველესი მონეტაა მსოფლიოში. ბევრია აგრეთვე ძველბერძნული, რომაული, არაბული, ეგვიპტური, ძველირანული და სხვა მონეტები.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდს, რომელშიც 6.700-ზე მეტი ნიმუშია, განუწყვეტლივ ემატება ახალი ექსპონატები.

ქარხნის ექსპორტი

ჟუთაისი. ჟუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა მრავალი წელია თავის პროდუქციას გზავნის საზღვარგარეთ.

წელს ქარხანა თავის პროდუქციას — სხვადასხვა სახის წყალსატუმბებს, დიზელძრავიან დანადგარებს, ჩასაყვინთ ელექტროცენტრიდანულ ტუმბოებს, საშახტე ელმავლებს და სხვ. გაგზავნის იმქენში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, იუგოსლავიაში, სულ 18 ქვეყანაში.

გორი — ქართლის შუაგული

ქალაქი დღეს და სწვალ

თვალწარმტაც ქართლის ველზე მდებარეობს ქალაქი გორი. 1892 წელს აქ იყო ახალგაზრდა ალექსი მაქსიმეს ძე გორკი, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა. 1896 წელს დაბეჭდილ ნარკვევ „გორში“ იგი ასე აღწერს იმ დროის ქალაქს:

„გორი ძველებური ქართული ქალაქია მტკვრის ხეობაში. იგი დიდი არ არის — კარგა მოზრდილ რუსულ სოფელს წაგავს, მის შუაგულში აღმართულია მაღალი ბორცვი, ბორცვზე ციხე-სიმაგრეა, ბორცვის კალთებზე და მის ძირში გაფანტულა პატარა სახლები, თითქმის ყველა კირით ნაშენი...“

როგორ არ ჰგავს დღევანდელი გორი დიდი მწერლის მიერ დახატულ ამ სურათს. საითაც გაიხედავ — ყველგან აღმართულა საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნდამენტალური შენობები. ქალაქში 14 საშუალო სკოლა და 18 სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებაა. პედაგოგიური ინსტიტუტში მუშაობს ასზე მეტი მასწავლებელი, მათ შორის 9 მეცნიერებათა დოქტორი და 48 კანდიდატია. ნაყოფიერად მუშაობს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი „ავტომატმრეწვი“.

გორელთა სიამაყეა დრამატული თეატრი. მას არაერთხელ გაუმართავს წარმატებით გასტროლები რესპუბლიკის დედაქალაქში.

წარსულში გორის მაზრაში მუშაობდა მხოლოდ ერთი ექიმი. არსებითად ჯანმრთელობის დაცვისათვის „ზრუნავა“ ექიმობაშთა ხელში იყო. ახლა გორში 96 ექიმი და 390 საშუალო სამედიცინო პერსონალია. ცენტრალური და საბავშვო საავადმყოფოები, სანეპიდსადგური, 12 ამბულატორია, 10 აფთიაქი — აი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა არასრული ნუსხა.

გორი იზრდება როგორც საქართველოს ინდუსტრიული ცენტრიც. წინათ აქ არ ყოფილა არც ერთი სამრეწველო საწარმო. დღეს გორშია საკონსერვო ქარხნები, ბამბეულის კომბინატი, შპალსაჭიქნთი და ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნები... ხელსაწყოთმშენებლები, რომლებმაც პროდუქციის გამოშვება 8 წლის წინათ დაიწყეს, უკვე გავიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე, ახლა მათ ნაწარმს ყიდულობს მსოფლიოს 18 ქვეყანა. წელს საწარმომ დაიწყო ოთხი ახალი ხელსაწყოს გამოშვება. ახლა მიმდინარეობს მშენებლობა ქარხნის გასაფართოებლად. ხუთწლედის დამლევისათვის პროდუქციის გამოშვება ერთიხუთად გადააჭარბებს 1966 წლის დონეს.

— დიდი გეგმები გვაქვს ხუთწლედის მესამე წლისათვის,—ამბობენ გორელი მშენებლები,—მიმდინარე წლიდან ავაშენებთ მხოლოდ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს, ქალაქს დაამშვენებს პიონერთა სასახლისა და კინოთეატრის ახალი შენობები. დაიწყება ახალი საავადმყოფოს, საშუალო სკოლის, საბავშვო ბაღის, სასტუმროების „ქართლისა“ და „ინტურისტის“ კორპუსების აგება. 1300 ათასი მანეთი ასიგნებულია მძლავრი წყალსადენის მშენებლობისათვის.

ომის ვეტერანის სახლში

გორში ცხოვრობს დიდი სამამულო ომის ვეტერანი, თადარიგის მაიორი ი. ყანდარელი. მის ბინაში ხშირად ნახავთ ტურისტებს, ექსკურსანტებს, ახალგაზრდებს, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმრებს. მათთვის აქ ბევრი რამ არის საინტერესო და დასათვალიერებელი.

ი. ყანდარელმა თავის ბინაში მოაწყო საბრძოლო დიდების მუზეუმი, რომელშიც ბევრი საინტერესო ექსპონატია თავმოყრილი. აქ არის საბჭოთა არმიის, მხედართუფროსების ეროშენკოს, კონევის, მოსკალენკოს, ჩუიკოვის, სპიშევის, ტიულენევის, სტუჩენკოს და სხვების მიერ ი. ყანდარელის სახელზე გამოგზავნილი ფოტოები, წერილები და მოლოცვის ბარათები. სამამულო ომის დროინდელი შეყვითლებული ყურნალ-გაზეთები, ფოტოსურათები, საბრძოლო რუკები.

მუზეუმში მისულნი ინტერესით ათვალიერებენ და ეცნობიან მრავალფეროვან ექსპონატებს, რომლებიც ასახავენ საბჭოთა არმიის და ხალხის გმირულ ბრძოლას გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ, ისმენენ ვეტერანი ოფიცრის საუბრებს საბჭოთა არმიის გმირობასა და მამაცობაზე. ი. ყანდარელს გავლილი აქვს საინტერესო საბრძოლო გზა. იგი ომის დაწყებიდან დამთავრებამდე მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში, კავკასიის დაცვაში. ი. ყანდარელი უკრაინის მეოთხე ფრონტის მეომრებთან ერთად იბრძოდა გერმანელი ოკუპანტებისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის. ჩეხოსლოვაკიის ქალაქების — ვოლოშოვიცისა და პეტროვალდის მცხოვრებლებმა იგი აირჩიეს თავიანთ საპატიო მოქალაქედ, ქალაქ ოსტრავის მეშახტეებმა — საპატიო მეშახტედ, ხოლო ქალაქ ოპავის მშრომელებმა მას მიანიჭეს „წარმოების დამსახურებული მუშაკის“ წოდება. იგი არჩეულია აგრეთვე ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საბჭოს საპატიო წევრად. ი. ყანდარელი არის რამდენიმე ორდენისა და მედლის კავალერი. ჩეხების მიწვევით ორჯერ იყო ჩეხოსლოვაკიაში. მუზეუმში არსებული შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა გულთბილი ჩანაწერებით.

შ. ჩუბინიძე.

* * *

ამ ბოლო წლებში გორში მრავალი ახალი სახლი აშენდა.



სურათზე: გორი, ცენტრალური მოედანი, ადმინისტრაციული შენობა.

ჩვენი კულტურის მეგობრები

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოსთან აქვს საქმიანი, მეგობრული, კულტურული კონტაქტები. ყოველდღე იზრდება საქართველოს მეგობარ ქვეყანათა რიცხვი. უფრო მეტად ეცნობა უცხოეთის საზოგადოებრიობა ჩვენი ქვეყნის მდიდარ ისტორიულ წარსულს, მის კულტურას, მეცნიერებას, მის მიღწევებსა და წარმატებებს. იზრდება და ფართოვდება კონტაქტები მსოფლიოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ცალკეულ პირებთან, მეცნიერებთან, მწერლებთან, კომპოზიტორებთან — მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანებთან.

ამ რამდენიმე ხნის წინ საზოგადოების მისამართზე ირლანდიიდან და ახალი ზელანდიიდან მოვიდა ორი წერილი: საზოგადოების პრეზიდიუმის წევრის, აკადემიკოს **შალვა ამირანაშვილისა** და პრეზიდიუმის თავმჯდომარე **არჩილ გიგოშვილის** სახელზე. ვფიქრობთ მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არი იქნება ამ წერილების შინაარსი.

1.

„ძვირფასო პროფესორო ამირანაშვილო“!

დიდი ხანია ჩემს ბიბლიოთეკას ამშვენებს „ქართული ხელოვნების ისტორიის“ პირველი გამოცემის ტომეული. მაგრამ განსაკუთრებით მესიამოვნა თქვენი ბრწყინვალე წიგნის ორი ეგზემპლარის მიღება. ნამდვილად აღტაცებული ვარ ამ წიგნით, რომელიც ბრწყინვალე ქართულ მინიატიურას ეძღვნება. აქამდე სულ რამდენიმე ქართულ მინიატიურას ვიცნობდი. ისინი მინახავს დასავლეთ ევროპის ბიბლიოთეკებში მე-17 და მე-18 საუკუნეებით დათარიღებული. მაგრამ აზრადაც არ მომდიოდა, ვერც კი წარმომედგინა, თუ ასეთ განძეულსა ფლობდით და თანაც ასე ადრინდელი პერიოდისას. ამ წიგნების შესწავლა, ჩემი აზრით, აუცილებელია იმ მეცნიერებისათვის, რომლებიც დასავლეთ ევროპის (და ამერიკის) ხელოვნების ისტორიაში მუშაობენ. ეს წიგნები აუცილებლად უნდა ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და გამოიცეს ყველაზე ცნობილი გამომცემლობების მიერ ან ინგლისში, ან ჰოლანდიაში და ან კიდევ საფრანგეთში. სამწუხაროდ, მე ამჟამად ძალიან მოუცლელი ვარ, ვამთავრებ ჩემი ორტომეულის მეორე წიგნს — „რუსეთის საელჩოები ქართველ მეფეთა კარზე“, რომლის გამოცემას სამეცნიერო საზოგადოება „ჰაკლუიტი“ აპირებს.

თქვენი მუზეუმის დათვალიერების შემდეგ მე აქ წინადადებაც წამოვაყენე, რომ გამოიცეს თქვენი უბრწყინვალესი ჰედური ხატების კოლექციის ფერადი ილუსტრაციების კრებული. ამ საქმისათვის ყველაზე შესაფერისი ორგანიზაცია, ვფიქრობ, „იუნესკო“ იქნება (ვგონებ „იუნესკომ“ უკვე გამოსცა ქალბატონ ტერ-ოვანესიანის წიგნი „სომხეთის ხელოვნება“). მე მზად ვარ ყოველნაირად დაგეხმაროთ, რითაც შემიძლია.

იმედი მაქვს ერთხელ კიდევ ვეწვევი თქვენს შესანიშნავ ქვეყანას. მანამდე კი მიიღეთ ჩემი დიდი მადლობა და კეთილი სურვილები.

გულწრფელად თქვენი
უ. ე. დ. ალენი,

უაიტჰერჩ ჰაუზ,
კაპაბ, უინტერფორდ, ირლანდია.

2.

„პატივცემულო თავმჯდომარევ!

თქვენმა წერილმა და თანდართულმა ოთხმა ბანდეროლმა (რომელშიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, თქვენი შესანიშნავი ქვეყნის — საქართველოს შესახებ ლიტერატურა და მასალები იყო) დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მხოლოდ ჩემს ოჯახში კი არა, არამედ აქაურ საფოსტო განყოფილებაშიც. საქართველოდან აქამდე არაფერი მიელოთ. ეს პირველი შემთხვევა იყო. დიდი მადლობა ამ შესანიშნავი წიგნებისათვის. მე მათ მთელი ჩემი სიცოცხლე თვალის ჩინივით გავუფრთხილდები. განსაკუთრებული კმაყოფილება მომგვარა „ვეფხისტყაოსანმა“. ამიერიდან იგი ჩემი ბიბლიოთეკის უპირველესი ექსპონატი და მშვენება იქნება. მადლობას გიხდით ქართულ-ინგლისური ლექსიკონისა და ქართული ენის სახელმძღვანელოს გამოგზავნისათვის. ამან უფრო გამიღვივა ამ უძველესი ერის ენის შესწავლის სურვილი. პირობას გაძლევთ, რომ ჩემს შემდეგ წერილში უკვე წაიკითხავთ რამდენიმე წინადადებას თქვენს მშობლიურ ენაზე. ეს იმის დამადასტურებელი იქნება, თუ რამდენად სერიოზულად მაქვს განზრახული ქართული ენის შესწავლა!

ერთხელ კიდევ მიიღეთ ჩემი მადლობა ასეთი გულუხვობისათვის.

პატივისცემით თქვენი
ი. ზეტჰოვენი,
ველინგტონის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ახალი ზელანდიის „ლინგვისტთა საზოგადოების“ წევრი.
ახალი ზელანდია,
აპერ ჰარტი,
ფრაიზერ კრიუნტი.

ჭრაქიდან ლაჯანურჰესამდე

„...ჭუთაისის გუბერნიაში ლეჩხუმის მაზრისთანა მივარდნილი, ღარიბი და ყოველგვარ საჭიროებას მოკლებული ერთი მაზრაც არ არის“, წერდა გაზეთი „დ რ ო ე ბ ა“ 1883 წელს.

და მართლაც, ხშირად ჭრაქიც კი ფუფუნების საგნად ითვლებოდა, სახლებს მხოლოდ კვარით ანათებდნენ. ასეთი იყო ლეჩხუმი წარსულში.

ცაგერის რაიონის ჰიდრორესურსებ მ ა საბჭოთა ხელისუფლების პირ ვ ე ლ ი წლებიდანვე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. ბევრი კარგი წინადადება დაისახა მისი გამოყენებისათვის, მაგრამ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას მაშინ არ გააჩნდა საამისო სახსრები და ტექნიკა.

1927 წელს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „მთავრობამ გამოყო სახსრები ცაგერში ჰიდროელექტროსადგურ ი ს მშენებლობისათვის“. ამავე წელს დაიწყო რაიონში პირველი ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც 1929 წელს ამოქმედდა. მისი სიმძლავრე მხოლოდ 18 ცხენისძალას უდრიდა. შემდეგ ზედიზედ აშენდა ცაგერჰესი, ქორენიშჰესი, რაჩხაჰესი, ორბელჰესი.

1952 წელს საფუძველი ჩაეყარა ლაჯანურჰესის მშენებლობას.

ათ წელზე მეტ ხანს ებრძოდა ათასობით ადამიანი, უამრავი სამშენებლო მექანიზმი ორპირის მთებს, ცხენისწყლისა და ლაჯანურის წყალგამყოფს, რათა მის კლდოვან მასივში აეშენებინათ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლავრესი ჰიდროელე ქ ტ რ ო-სადგური — ლაჯანურჰესი, რომლის სიმძლავრე აღემატება რიონჰესისა და გუმათჰესის სიმძლავრეს, ერთად აღებულს.


ასრულდა დიდი ხნის ოცნება, მდინარე ცხენისწყალმა კალაპოტი იცვალა. 1960 წლის 24 იანვარს, 3 საათსა და 45 წუთზე ამოქმედდა საგენერატორო სადგურის პირველი აგრეგატი.

ახლა ლაჯანურის ხეობაში თეთრად ლივლივებს „ლაჯანურის ზღვა“, საიდანაც ორი მდინარის წყალი ეშვება ქვემოთ, მთის შუაგულში გამართული საგენერატორო სადგურისაკენ. მდინარის ტალღებს ცეცხლად აქცევენ ლაჯანურჰესელები და მაღალი ძაბვის სადენებით ელექტროენერგ ი ა ს აწვდიან მთელს რესპუბლიკას.

ორი მდინარის — ლაჯანურისა და ცხენისწყლის შეერთებამ ელექტროენერგ ი ი ს გამომუშავების ახალი საიმედო რეზერვები შეუქმნა რიონის ქვემოწ ე ლ შ ი მდებარე ჰესებს და სამუდამოდ აღკვეთა შემოდგომა - ზამთრის პერ ი ო დ შ ი წყლის სიმცირით გამოწვეული ენერგიის დეფიციტი.

უკვე 7 წელია მუშაობს ლაჯანურჰესი. სადგურმა 2.684 მილიონი კილოვატსაათი ენერგია მიაწოდა ჩვენს სახალხო მეურნეობას.

ნ. ნემსაძე.



ნიკო ფიროსმანაშვილი

ეწვევა პარიზს

1968 წლის ნოემბერში საფრანგეთში გაიმართება „საქართველოს კულტურის დღეები“.

ამასთან დაკავშირებით პარიზში მოეწყობა ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა დიდი გამოფენა.

◆


სურათებზე: სკულპტურული პორტრეტი „ნიკო ფიროსმანაშვილი“, რომლის ავტორია მოქანდაკე გ. ავალიშვილი; ნ. ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა ფოტორეპროდუქციები: მარჯვნივ — **„შემოდგომა კახეთში“**, ქვემოთ — **„ალაზნის ველი“**. (ფრაგმენტი).


◆















სურათებზე: ნ. ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა ფოტორეპროდუქცია: „მეთევზე“, „სამი თავადის ქეიფი“, „კალოზე“, „შველი წუკრით წყაროზე“, „საწნახელი“.

საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმი

მოგზაურობა, 1968 წელი

წლის დამდეგიდან ტურისტთა რამდენიმე ჯგუფი საქართველოდან უკვე იყო უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, იუგოსლავიასა და რუმინეთში.

1968 წელს საქართველოს პროფკავშირების საზღვარგარეთულ ტურისტულ მოგზაურობაში გაგზავნიან 50-ზე მეტ ჯგუფს — სულ 2.000 კაცს.

ფართოდ იქნება შემოღებული პრაქტიკაში სპეციალიზებული ჯგუფების გაგზავნა საზღვარგარეთ. წელს პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში წავლენ რუსთაველისა და ზესტაფონის მეტალურგები, ჭიათურის მაღაროელები, აგრეთვე მედიკები, პედაგოგები, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში — საქართველოს ხელსაწყოთმშენებლობის რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების აქტივისტები და სამედიცინო დაწესებულებათა მუშაკები, რუმინეთსა და ბულგარეთში — მანქანათმშენებლები.

აფხაზეთის მშრომელები გაემგზავრებიან პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, ქართველი გეოლოგები — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში. უნგრეთში წავლენ მუსიკალური სკოლების პედაგოგები. ბულგარეთში გაემგზავრებიან საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოების აქტივისტები, ჩეხოსლოვაკიაში — ტყიბულელი და ტყვარჩელელი მეშახტეები. ჩვენი რესპუბლიკის აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერები მოგზაურობას მოაწყობენ თურქეთსა და ბულგარეთში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები იმოგზაურებენ აგრეთვე ინდოეთში, პაკისტანში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ავსტრიაში, მოაწყობენ კრუიზს დუნაიზე.



ჯეკოდჯა

გიორგი და ელენე პაპაშვილები

ნაწყვეტები წიგნიდან

— იცისო?! გავიცი მე, ნიშანი მივეცი და კოლამაც ყველა თავისი ნომერი შეასრულა. მას ძალიან სიამოვნებდა კვალიფიციური აუდიტორია.

— სოფელში ტყუილად ცდება ასეთი კარგი დათვი, — თქვა ვანომ, როდესაც კოლამ დაამთავრა და კოხტად დაუკრა თავი, — მე თუ გამაყოლებ, ძალიან წინ წავა.

— არა.

— მოდი დამთანხმდი. კარგ ფულს მოგცემ. რას დაეფასებ?

— არაფერს.

— ორმოცდაათი მანეთი?

— არა.

— სამოცდახუთმეტი?

— არა.

— ასი მანეთი?!

— არა. თუ გინდათ, გაგიცვლით.

— კიდევ უკეთესი. რაში?

— თქვენს უფროს ვაჟში?

ვანომ გაიცინა და მითხრა:

— კარგი ბიჭი ყოფილხარ. ამისთანა ჰკვიანი დათვი ნამდვილად არ შემხვედრია. მე ხომ კარგად ვიცნობ დათვებს. გყავდეს. სულ არ მიკვირს. მეც ვერ გავიმეტებდი. ოღონდ, თუ ოდესმე მოგიხდა მასთან დაშორება, ვინ იცის, როგორ წავა საქმე, ახლა სულ ომზე ლაპარაკობენ, თბილისში მომიყვანე, მთავარ პროსპექტზე. შადრევანთან მიკითხე — და ვანომ ამაყად დაამატა: — ყველა მოგასწავლის, არც ისე დაკარგული ვარ!

რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ ჟონგლიორებმა დანები შეინახეს, ვირები შეაბეს და ცირკმა ჭრილით გაანგრძო გზა. გორაკის წვერზე რომ ავიდნენ, მედათვე ვანო შეჩერდა და გადმომძახა — არ დაივიწყო — მთავარი პროსპექტი, შადრევანთან, ასორმოცდაათ მანეთს მოგცემ!

ასორმოცდაათი მანეთი! ეს მთელი ქონება იყო. მამულს შეიძენდა კაცი, თავის მაგივრად სხვას გაგზავნიდა ჯარში, ვაჭარი თავადობას იყიდდა ამ ფასად, კოლას კი ვერა.

ის იყო ცირკი წავიდა, რომ ომიც დაიწყო და, გვინდოდა თუ არა, ყველა ჩაგვითრია. ომმა წაიყვანა გორაზე მცხოვრები მეზობელი, წაიყვანა ჩემი ბიძაშვილი ვარდო, ჯაყელის ქვრივის სამი შვილი, მეორე წელს მამაჩემის ჯერი დადგა, შემდეგ კი ჩემი.

სანამ გონს მოვიდოდი, უკვე ჯარისკაცი ვიყავი, რუსეთის არმიის ჯარისკაცი. ხელში თოფი მეჭირა და ტანზე ისეთი სამხედრო ფორმა მეცვა, რომ ჩემისთანა ორი ჩაეტეოდა შიგ.

კოლა? ჩემს კოლას რაღა ეშველებოდა? ათ დღეში უნდა დამტოვებინა სოფელი და პოლკში გამოვცხადებულიყავი. შემდეგ ცხრა დღე დამრჩა, შემდეგ რვა, შემდეგ ექვსი...

სოფელში მხოლოდ ქალები, ბავშვები და ორიოდე ღრმა მოხუცი დარჩა. ხალხს თავისი საზრდო გასჭირებოდა და კოლასათვის ვინ იატაკებდა თავს?

ძალიან არ მინდოდა, მაგრამ იძულებული გავხდი ისევ მედათვე ვანო გამეხსენებია.

თბილისამდე 39 მილი იყო. გზაში ძალიან შევეცადე ამეხსნა კოლასათვის, თუ რა ღღეში ვიყავით.

ხანდახან, ვინმე გლეხი კამეჩის ურემზე შემოგვისვამდა ხოლმე, ხან კი ფეხით მივდიოდით. ღამით, როცა გვერდგვერდ ვიწექით თივის ბულულზე, კოლაზე ვფიქრობდი და თავს იმით ვინუგეშებდი, რომ მედათვე ვანოს ცხოველები ძალიან ნაპატივები და მხიარულები იყვნენ, რომ ისინი უშიშრად მიდიოდნენ დაძახებაზე და სიამოვნებით ასრულებდნენ თავიანთ ნომრებს.

თვითონვე მიკვირდა, რომ ჯარისკაცი ვიყავი და მაინც ვტიროდი.

თბილისში ბაზარზეც კი არ გავიარე.

— ასე ცხრა ბრძოლის დროს დ. მუხრანელი მძიმედ დაიჭრა. ნამსხვრევებმა თითქმის მთლიანად დაუცხრილეს თირკმელი.

ჯანმრთელობის შერყევის მიუხედავად ღრმა ზურგში მუშაობდა. მცხეთის რაიონის სამხედრო კომისარიატის აქტივისტი წევრად მიიღეს. დიმიტრი ჯერ კიდევ პირველ დღესვე მოიხმო გამგეობის წევრები და განუცხადა: „მშადიჯვრის ყამირი გავტეხეთ, სახელმწიფო დავალებებს გადაჭარბებით ვასრულებთ. მეურნეობა, შეიძლება ითქვას, საათივით არის აწყობილი, ახლა უჩემოდაც მშვენივრად გაუძღვებით საქმეს!“

51 წლის თავმჯდომარე გულთბილად გაიცილეს და შინ გამარჯვებით დაბრუნება უსურვეს. ასეც მოხდა. იბრძოლა. ტანსაწინააღმდეგო პოლკს მეთაურობდა ქერჩში. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მძიმე ბრძოლები გადაიხადა იქ საბჭოთა არმიამ. დ. მუხრანელიც ვაჟკაცურად უმკლავდებოდა მტრის ჯარს ძალებს. მრავალი ტანკი მოუსპო. ერთხელ მოწინააღმდეგემ საარტილერიო მზადება დაამთავრა და ფრონტის მცირე მონაკვეთს ტანკები მიუსია. მუხრანელის ბიჭებმა ძლიერი ცეცხლი შეავებეს. წყობილებიდან გამოიყვანეს რამდენიმე მანქანა. ტექნიკის სასაფლაომ გზა ჩაჭრეგა, და საბრძოლო ეპიზოდები, ჩანს, დავიწყებას მიეცა. მიუხედავად ამისა, მანც მოხერხდა მისი პორტრეტის ერთგვარად მოხაზვა: დიმიტრი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე იბრძოდა და სიმამაცისათვის გიორგის ორდენი დაიმსახურა. აქტიური მონაწილეობა მიიღო 1905 წლის რევოლუციის მოძრაობაში. დამადასტურებელი საბუთი მყისვე მოიტანეს და გვაჩვენეს. სხვა დოკუმენტებმა იმაზე მოგვითხრეს, რომ დიმიტრი ერთგულად მსახურობდა წითელი არმიის რიგებში და უფროსი ლეიტენანტის ჩინით გავიდა დიდი სამამულო ომის ფრონტზე. მანამდე კი ძალისის (მცხეთის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. მობილიზაციის პირველ დღესვე მოიხმო გამგეობის წევრები და განუცხადა: „მშადიჯვრის ყამირი გავტეხეთ, სახელმწიფო დავალებებს გადაჭარბებით ვასრულებთ. მეურნეობა, შეიძლება ითქვას, საათივით არის აწყობილი, ახლა უჩემოდაც მშვენივრად გაუძღვებით საქმეს!“

51 წლის თავმჯდომარე გულთბილად გაიცილეს და შინ გამარჯვებით დაბრუნება უსურვეს. ასეც მოხდა. იბრძოლა. ტანსაწინააღმდეგო პოლკს მეთაურობდა ქერჩში. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მძიმე ბრძოლები გადაიხადა იქ საბჭოთა არმიამ. დ. მუხრანელიც ვაჟკაცურად უმკლავდებოდა მტრის ჯარს ძალებს. მრავალი ტანკი მოუსპო. ერთხელ მოწინააღმდეგემ საარტილერიო მზადება დაამთავრა და ფრონტის მცირე მონაკვეთს ტანკები მიუსია. მუხრანელის ბიჭებმა ძლიერი ცეცხლი შეავებეს. წყობილებიდან გამოიყვანეს რამდენიმე მანქანა. ტექნიკის სასაფლაომ გზა ჩაჭრეგა, მტერს ჩანაფიქრის განხორციელება ჩაუშალა. ერთი ასეთი ცხარე ბრძოლის დროს დ. მუხრანელი მძიმედ დაიჭრა. ნამსხვრევებმა თითქმის მთლიანად დაუცხრილეს თირკმელი.

ჯანმრთელობის შერყევის მიუხედავად ღრმა ზურგში მუშაობდა. მცხეთის რაიონის სამხედრო კომისარიატის აქტივისტი წევრად მიიღეს. დიმიტრი ჯერ კიდევ პირველ დღესვე მოიხმო გამგეობის წევრები და განუცხადა: „მშადიჯვრის ყამირი გავტეხეთ, სახელმწიფო დავალებებს გადაჭარბებით ვასრულებთ. მეურნეობა, შეიძლება ითქვას, საათივით არის აწყობილი, ახლა უჩემოდაც მშვენივრად გაუძღვებით საქმეს!“

უკვდავების ვაზი

ლეონიდე მუხრანელს მას შემდეგ დიდხანს აღარ უმია. იმ დროს, როცა შტაბის უფროსს მიხაილოვსკის ქიმიკოსთა შემართებაზე მოახსენებდა, შენობის ახლოს ჭურვი გასკდა და ნამსხვრევები მიმოიფანტა. კაპიტანმა მხოლოდ იმის დანახვა მოასწრო, რომ ორად გადაიხა მაგიდაზე გაშლილი რუკა, თვითონ კი უხილავმა ძალამ ჰაერში აისროლა და მიწაზე დაანარცხა. ენა ჩაუვარდა. კუპრივით შავი ქოჩრის ცალი მხარე გაუშაყარავდა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა გონს ჰოსპიტალში. აქ აჩვენეს ნამსხვრევებით დაგლეჯილი მაჯარა.

— სასწაულით გადავრჩენილვარ, — ღიმილით წარმოთქვა უცნაური მაზარის ხილვის შემდეგ.

ექიმებმა ლეონიდე მუხრანელი სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნეს. გამოწერის წინ გენერალი მივიდა, მადლობა გამოუცხადა და მედალი „მამაცობისათვის“ გადასცა.

ლეონიდე მუხრანელი ახლაც დღეგრძელობს, თბილისში ცხოვრობს.

რაც შეეხება პეტრე პეტრეს-ძე გრუზინსკის, იგი ერთადერთი მეზღვაურია ჩვენ მიერ გაცნობილ ბაგრატიონთა შორის. მოვლილი აქვს მსოფლიოს თითქმის ყველა საზღვაო ქვეყანა და ასობით ნავსადგური. ზღვის სიყვარული ჭაბუკობიდანვე ჩაენერგა. ფართო ასპარეზზე გამოსასვლელად მზადება უბრალო მეზღვაურობით დაიწყო. საზღვაო ტექნიკუმში შეიძინა სპეციალური ცოდნის საფუძვლები. უმაღლეს განათლებას სამდინარო ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტსა და საზღვაო ფლოტის აკადემიაში დაეუფლა. ხომალდი მისი განუყრელი მეგობარი გახდა. დიდი სამამულო ომის დროს პეტრე გრუზინსკი საზღვაო ოპერაციებს მეთაურობდა საბჭოთა არქტიკის ჯერ დასავლეთ, შემდეგ კი აღმოსავლეთ სექტორში.

ამ საინტერესო პიროვნებასთან ჟურნალისტის მოუსვენრობამ დამაყავშირა. ქართველ კაცთან შეყრამ საქართველოს წარსულით დააინტერესა. სიამოვნებით გავუგზავნე „საქართველოს ისტორია“. შორეული ცურვის კაპიტნის ბიბლიოთეკა დამშვენდა რევაზ გაბიჩვაძის, თამარ შავერზაშვილისა და სხვა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებით. მისი უმცროსი გოგონა ხშირად მიუჯდება პიანინოს და ხალისით ასრულებს მამის თბილისელი სეხნიის პეტრე პეტრეს-ძე გრუზინსკის ტექსტზე რევაზ ლაღიძის მიერ დაწერილ „სიმღერას თბილისზე“. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი მეგობრის ისეთივე სამაგიდო წიგნია მოსკოვში, როგორც თბილისელ ბაგრატიონთა ოჯახებში...

— დიმიტრი გიორგის-ძე მუხრანელიც ბაგრატიონთა გვარიდან გახლავთ და იგი ქერჩის ფრონტზე იბრძოდა, — კიდევ ერთი მეომარი დაგვისახელა ლეონიდემ და გვირჩია მისი ოჯახისათვის მიგვეკითხა. მეუღლემ დიმიტრის ფრონტელი მეგობრები მაგვაწერინა. ვესაუბრეთ მათაც. საშუალოზე მაღალი, სანდომიანი სახის კაცმა მართლაც ბევრი მოსაგონარი დატოვა, თუმცა ყველაფრის შეტყობა ვერ მოხერხდა. დრო გავიდა, და საბრძოლო ეპიზოდები, ჩანს, დავიწყებას მიეცა. მიუხედავად ამისა, მანც მოხერხდა მისი პორტრეტის ერთგვარად მოხაზვა: დიმიტრი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე იბრძოდა და სიმამაცისათვის გიორგის ორდენი დაიმსახურა. აქტიური მონაწილეობა მიიღო 1905 წლის რევოლუციის მოძრაობაში. დამადასტურებელი საბუთი მყისვე მოიტანეს და გვაჩვენეს. სხვა დოკუმენტებმა იმაზე მოგვითხრეს, რომ დიმიტრი ერთგულად მსახურობდა წითელი არმიის რიგებში და უფროსი ლეიტენანტის ჩინით გავიდა დიდი სამამულო ომის ფრონტზე. მანამდე კი ძალისის (მცხეთის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. მობილიზაციის პირველ დღესვე მოიხმო გამგეობის წევრები და განუცხადა: „მშადიჯვრის ყამირი გავტეხეთ, სახელმწიფო დავალებებს გადაჭარბებით ვასრულებთ. მეურნეობა, შეიძლება ითქვას, საათივით არის აწყობილი, ახლა უჩემოდაც მშვენივრად გაუძღვებით საქმეს!“

51 წლის თავმჯდომარე გულთბილად გაიცილეს და შინ გამარჯვებით დაბრუნება უსურვეს. ასეც მოხდა. იბრძოლა. ტანსაწინააღმდეგო პოლკს მეთაურობდა ქერჩში. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მძიმე ბრძოლები გადაიხადა იქ საბჭოთა არმიამ. დ. მუხრანელიც ვაჟკაცურად უმკლავდებოდა მტრის ჯარს ძალებს. მრავალი ტანკი მოუსპო. ერთხელ მოწინააღმდეგემ საარტილერიო მზადება დაამთავრა და ფრონტის მცირე მონაკვეთს ტანკები მიუსია. მუხრანელის ბიჭებმა ძლიერი ცეცხლი შეავებეს. წყობილებიდან გამოიყვანეს რამდენიმე მანქანა. ტექნიკის სასაფლაომ გზა ჩაჭრეგა, მტერს ჩანაფიქრის განხორციელება ჩაუშალა. ერთი ასეთი ცხარე ბრძოლის დროს დ. მუხრანელი მძიმედ დაიჭრა. ნამსხვრევებმა თითქმის მთლიანად დაუცხრილეს თირკმელი.

ჯანმრთელობის შერყევის მიუხედავად ღრმა ზურგში მუშაობდა. მცხეთის რაიონის სამხედრო კომისარიატის აქტივისტი წევრად მიიღეს. დიმიტრი ჯერ კიდევ

არ დამითვალიერებია ფარდაგებით, მოელვარე სპილენძის ჭურჭლით, ზარნიშიანი ხანჯლებითა და ახალი უნაგირებით გამოტენილი დუქნები, არც იმ გამყიდველებთან შევჩერებულვარ, რომლებსაც თავზე ბროწეულით საცვე თაბახები ედგათ და ხელში ჩურჩხელები ეჭირათ. პირდაპირ შადრევანისაკენ გავეშურე.

— ვანო სადა ცხოვრობს? მედათვე, — ვკითხე ვიღაც ბიჭს, რომელიც დოქს ავსებდა. მან ქუჩის გადაღმა მიმითითა.

ჯიბეზე ავედი. კოლა ფეხდაფეხ მომდევდა. კარი თვითონ ვანომ გაგვიღო.

— ოჰ, გამარჯობათ, მაშ ბოლოს გადაწყვიტე, არა? შემოდი, ვისაუზმოთ, შემდეგ კი გადაგიხდი დაპირებულს.

მან მკლავის ნატეხი და ხილი დამილაგა წინ. ყველაფერი ორად გავყავი, კოლას თავისი წილი მივეცი, მე ჩემი გვახელით და მხოლოდ მერე ვუპასუხე, არა, მედათვევ, კოლას გასაყიდად არ მოვსულვარ-მეთქი. შემდეგ ჯერ ის ვუთხარი, რომ ჯარში მივდივარ, ბოლოს კი სოფლის ამბები შევატყობინე.

ვანომ თავი გადააქნია, ომი არავის არგია და მაინც ომობენ, გაიგე?

— ვერა. მხოლოდ ის ვიცი, რომ კოლას არაფერი არ უნდა გაუუჭირვო. მინდა, რომ ჩემს ჩამოსვლამდე შემინახო. ვიცი, რომ არ დაგიზარავ. თავისი ოინებით თავსაც ირჩენს და შენც დაგრჩება რამე. თუ ვერ დავბრუნდი...

— ღმერთმა დაგიფაროს, — თქვა ვანომ და პირჯვარი გადაიწერა.

— მაშინ ის ასორმოცდაათი მანეთი კოლას მოახმარე. რომ დაბერდება და შენთან ერთად ვეღარ შეძლებს მოგზაურობას, სადმე წყნარ ადგილას მიუჩინე ბინა.

— ყველაფერი ისე იქნება, როგორც გსურს, — მითხრა ვანომ და ხელი მომცა. შემდეგ მაგიდასთან მივიდა ხელწერილი დაწერა და მომაწოდა.

ყველაზე ძნელი საქმე ჯერ წინ მედო — კოლას უნდა დავმშვიდობებოდი.

ვანო ფანჯარასთან მივიდა და შადრევანს დაუწყო თვალიერება. მე კოლას მივუჯექი გვერდით და კვლავ თავიდან ვუამბე ყველაფერი. შემდეგ ქალაღდი ვაჩვენე და, თუმცა კითხვა არცერთმა არ ვიცოდით, მაინც ძალიან მოგვეფონა გულზე. შემდეგ თათი ვანოს მხარზე დავადებინე. ამით მივახვედრე, რომ ვანო ჩვენი მეგობარი იყო, შემდეგ ბანჯგვლიანი თავი მოვუჩეჩე და ბოლოს ვანომ ჯაჭვი ჩააბა საყელოში. მე დავიჩოქე, დრუნჩზე ვაკოცე და კიბეზე ჩავირბინე. უკან მოხედვა მინდოდა, მაგრამ ვეღარ შევძელი.

ომი იმაზე უარესიც კი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი. ჭუჭყი და ტილები, შიმშილი და სიცივე, ტანჯვა და წამება, ყველაფერი ერთად დაგვატყდა თავს.

ოცი თვის შემდეგ ორკეირიანი შვებულება მივიღე. ჩემი პირველი საზრუნავი ბანაობა იყო, მეორე — ტანსაცმლის გამოცვლა, მესამე — კოლას პოვნა და სოფელში წაყვანა.

ვანოსთან ეტლით მივედი. ეტლშივე მივხვდი, რომ შინ არავინ იყო, კარებზე ბოქლომი ეკიდა და ფანჯრები ფიცრებით იყო აჭედილი. მაინც დავაკაკუნე და რაზა შევაჯანჯღარე. პასუხი არ იყო.

დახმარება კვლავ შადრევანთან მივიღე. ამჯერად ვიღაც მოხუცისაგან.

ვანო? კი, ვანოს იცნობდა. ბოლოს ვანოს ჯარში წასვლის რიგიც დამდგარა. ორიოდე თვის წინ წაუყვანიათ, ოღონდ სად მოხვდა და რომელ ნაწილში, არ იცოდა. ბებერი ლომი მომკვდარა. ვიღაც ასურელებს მიმიუნები წაუყვანიათ, დათვი კი, აი ის ჭკვიანი დათვი (მოხუცს გაეღიმა, ალბათ კოლას ოინები გაახსენდა, ვანომ თვითონ წაიყვანა, ოღონდ სად, არც იმ მოხუცმა იცოდა და არც ვანოს მეზობლებმა.

თბილისში ხამად ვიყავი, მაგრამ მაინც ყველგან დავძებნე კოლა — ბაზრებში, ასურელთა უბანში, თეატრებში, შემდეგ სოფელში ჩავირბინე იქნებ რაიმე გაიგეს-მეთქი. მამაჩემი, როგორც მოგახსენეთ, წაყვანილი იყო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მეზობლებს სცოდნოდათ კოლას ამბავი. სოფელში არც წერილი დამხვდა და ვერც ჩემს დათვზე შევიტყე რამე.

ისევ თბილისში დავბრუნდი და დარჩენილი დღეები მოხეტიალე ცირკების დევნაში გავატარე, მაგრამ კოლა არსად იყო.

შვებულება გამითავდა. მოვნახე ის ჯარისკაცები, მეორე დღეს ჩემთან ერთად რომ უნდა დაბრუნებულიყვნენ ფრონტზე. იმათ ეტლი აეყვანათ და უხლდათ, გამოსათხოვარი ნადიმი მოეწყოთ ერთ პატარა დუქანში, რომელიც ქალაქის მახლობლად, ტყეში იყო ჩადგმული.

— წამოდი, — დამაყინდნენ ამხანაგები, — დამკვრელებიც იქნებიან, საცეკვაო მინდორიც და სასმელ-საჭმელიც. ომის დამთავრებამდე ალბათ ასეთ პურს ვეღარსადა ვჭამთ.

ავდექი და გავყევი. ამხანაგებში უფრო მხიარულად ვიყავი. მარტო მწყინდებოდა ხოლმე.

დუქანი ხალხით იყო სავსე, მაგრამ მასპინძელი წინ გაგვიძღა, ამწვანებული ხის ქვეშ მდგომი მაგიდა მოგვიჩინა, ახალი სუფრა გადაგვიფარა და კალმახი, კიტრები, ყველი, სოკოს მწნილი და ცხელცხელი შოთები მოგვიტანა.

— ღვინო! ღვინოც მოგვიტანე, რომ ყელი გავისველოთ, — გადავძახე მომტანს.

— პასუხად ისეთი გამაყრუებელი ღრიალი გავიგონეთ, რომ ყველანი ფეხზე წამოვცვივდით, შემდეგ ფიცრების მტვრევის ხმა მოგვესმა, შემდეგ, თითქოს რაღაც შენობა დაინგრა! მზარეული გარეთ გამოვარდა და აღრიალდა.

— გაიქეცით, თავს უშველეთო.

მზარეულს ვიღაც მოსდევდა. ხალხი უკან მიაწყდა. ვიღაც ქალს გული წაუვიდა.

მე ბუჩქი მეფარებოდა, ამიტომ სამზეო დავდექი და იქაურობა მოვათვალიერე. სანამ გონებით გავაზრებდი, გულმა უკვე იცოდა, რაც მოხდა. მაგიდას გადავხტი და ბრბო გავარღვიე.

— კოლა! შევძახე და ჩვენ ერთმანეთს ჩავეხვიეთ.

როდესაც კოლამ ცოტათი შემოშვა თათები, ირგვლივ მიმოვიხედე: მიკიტანს თოფი დაემიზნებინა ჩვენთვის, გვერდით ყასბის დანით შეიარაღებული მზარეული ედგა. ქალები კვლავ გაჰკიოდნენ, თან თვალებზე ხელი აეფარებინათ, რომ ჩემი დაღუპვა არ დაენახათ.

— გთხოვთ, ყველას გთხოვთ, დამშვიდდეთ. ეს ჩემი დათვია და არაფერს დაგიშავებთ. მე დავყარგე, მაგრამ, ხომ ხედავთ, თვითონ მიპოვნა. ჩემი ხმა იცნო და აღელდა, — შემდეგ დუქნის პატრონს მივუბრუნდი და ვკითხე: საიდან მოხვდა ეს დათვი თქვენთან, მე ხომ მედათვე ვანოს ჩავაბარე-მეთქი.

— ეს ახალგაზრდა ჯარისკაცი მართალია, — ხმამაღლა, ყველას გასაგონად თქვა მედუქნემ. — დათვი ნამდვილად მაგისია, ოღონდ უბრალო დათვი კი არ გეგონოთ. ეს ჯერ ჩემმა ძმამ ვანომ მითხრა და მერე ჩემი თვალითაც დავრწმუნდი. ვანო რომ ჯარში მიჰყავდათ, ჩემთან მოვიდა და მითხრა: სხვა ცხოველები სხვაგან დავაბინავე, მაგრამ დათვი შენ უნდა შეინახო, ვიდრე დაბრუნდებოდე.

ოღონდ კარგად უნდა შეინახო, თორემ ჩემთანაც პასუხს აგებ და ამის ძმასთანაც, ისიც ჯარისკაცია. შემდეგ, რომ დაემტკიცებინა იშვიათი მხეციაო, ბანკის ანგარიში მიჩვენა. ჰეშმარიტებას მოგახსენებთ, ბატონებო და ქალბატონებო. მიწა გამისკდეს, თუ გატყუებდეთ. კოლას — აი ამ დათვის ანგარიშზე თბილისის სახელმწიფო ბანკში ჩარიცხულია ასორმოცდაათი მანეთი. ახლა კი ახალგაზრდავ, ნება მიბოძეთ, კვლავ ჯაჭვით დავაბა.

— არა, ჩემთან წყნარად დადგება.

მართლაც მშვიდად იქცეოდა. ჩვენს მაგიდასთან მივუჩინეთ ადგილი.

კოლამ ძალიან ბევრი ჭამა, ღვინოც ბლომად დალია და ბოლოს დაიძინა. მძინარე ჯაჭვით დავაბით, დავემშვიდობეთ და წამოვედით.

— კარგად მოუარე და ამბავი მომაწვდინე ხოლმე, ვიდრე დავბრუნდებოდე, — დავუბარე მედუქნეს და ჩემი მისამართი მივეცი.

მეორე დილით ეშელონს უნდა გავყოლოდი, მაგრამ ვერ შევძელი. ეტლი დავიჭირავე და იმ დუქანში მივბრუნდი. იქ ერთი აურზაური დამხვდა. მედუქნე წინ და უკან დარბოდა. მზარეული ბურტყუნებდა, მიმტანები კარს უკან ეძებდნენ რაღაცას. ბოლოს გამაგებინეს ყველაფერი: როდესაც იმ დილით კოლასათვის საჭმელი მიუტანიათ, უნახავთ, რომ ბოძი ნაფოტებად იყო ქცეული, ჯაჭვი კი გაწყვეტილა. კოლა გაქცეულა!

— ჩემს მოსაძებნად წამოსულა, — ვთქვი მე.

კვალი მოვძებნეთ და გავყევით. ნახევარი მილი აღმართ-აღმართ ვიარეთ. შემდეგ უდაბური ტყე იწყებოდა. ყველას ვთხოვე აქ შეჩერებულიყვნენ. მე ნელნელა გავწიე წინ და თან კოლას ვუხმობდი.

უკან კლდეებიდან რაღაც ხმა მომესმა. შემდეგ თითქოს ხმადაბალი ბურდღუნიც გავიგონე. მე ხის ჩრდილში შევჩერდი და კოლას გავძახე:

— კოლა, კოლა! თუ მართლა შენა ხარ, ტყიდან ნუ გამოხვალ. ისევ შენს ტყეს შეეფარე და შენი თავის ბატონ-პატრონი იყავი. ეს გერჩივნოს ბორკილებს. მანდ მომიცადე და ომები რომ დამთავრდება, კვლავ მოვალ და წამოგიყვან. მანდ დაიმალე და მელოდე!

შემდეგ მოვბრუნდი და მარტოდმარტო წავედი ქალაქში. ჩემი კოლა კი დღესაც იმ ტყეშია და დღესაც მელოდება.

ინგლისურიდან თარგმნა

ანდუყაფარ ჭეიშვილმა.

— გვსურს საზეიმო ვითარებაში გადმოგცეთ სისხლის ფასად მოპოვებული ჯილდო, — უპასუხა თელიამ და ლამაზ მოგრძო კოლოფს თავი ახადა. მზის სხივებზე აბჟუყვალდა ორდენი. მოულოდნელმა ჯილდომ მასპინძელი ძალზე გაახარა. სამხედროების კვალზე კეთილი მეზობლებიც შეიკრიბნენ, და სწორედ ეს სურდა შალვა თელიასაც. საზეიმო ვითარება თავისთავად, ბუნებრივად შეიქმნა. კომისარმა ორდენი ნამარ ვაჟკაცს მკერდზე ჩამოჰკიდა და მხურვალედ მიულოცა დამსახურებული ჯილდოს მიღება.

დიმიტრი მუხრანელმა სახელდახელოდ სუფრა გაშალა. კოლმეურნეებმა მებრძოლი მარჯვენა დაულოცეს მასპინძელს და მისი ომის დროის შრომითი შემართება გაიხსენეს. დიდი მადლიერების გრძნობა გამოსთქვიდა დ. მუხრანელის საპასუხო სიტყვებში. იგი მეტად აღელვა კაცურიკაცობის მაგალითმა — საბრძოლო ორდენმა პატრონი ომის შემდეგაც კი მოძებნა და მის მკერდზე დაუდო ბინა. ამით ნასიამოვნებს თვალიდან ცრემლი ჩამოუგორდა. ეს იყო სიხარულის ცრემლი...

1960 წელს ძალისი მწუხარებამ მოიცვა. დიმიტრი მუხრანელი ხალხმა პატივით დაკრძალა მისი კარმიდამოს იმ ვაზნარის ჩრდილში, რომელიც საკუთარი მარჯვენით გააშენა ომამდე. გამვლელ-გამომვლელი მდუმარებით შეავლებს ხოლმე თვალს უკვდავების ვაზს და თბილად იხსენებს მამულის მასახელებელ კაცს...

სიმბოლური ვაზნარია. შეიძლება ითქვას, დიმიტრი მუხრანელის სახით იგი ხსოვნას უნახავს სამამულო ომში მონაწილე ბაგრატიონთა მამაცური მოდგმის ყველა თანამებრძოლს!

ი. ჯავახიშვილი.

ქართული მოტივები



არაგვის ხეობაში.

[I-10]

ფ. 28/30

ქართული ეკლესია — ეკუმენიკური მოძრაობის წევრი

ეკუმენიკური მოძრაობა (სამყაროს მოძრაობა) არის ქრისტიანულ ეკლესიათა მოღვაწეობა მსოფლიოს ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებისათვის. უპირველესი და წამყვანი როლი ამ ორგანიზაციაში პროტესტანტულ და მართლმადიდებელ ეკლესიებს ეკუთვნით. ეს ორგანიზაცია აერთიანებს მსოფლიოს თითქმის ყოველი ქვეყნის პროტესტანტულ ეკლესიას და ზოგიერთი სახელმწიფოს მართლმადიდებელ ეკლესიასაც.

ეკუმენიკური მოძრაობა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ჩაისახა. აქედან მოკიდებული 1937 წლამდე იგი სულ ორი ორგანიზაციით იყო წარმოდგენილი: „შრომა და ცხოვრება“ და „რწმენა და წესრიგი“.

1937 წელს ორივე ორგანიზაცია გაერთიანდა. მათ გამოიმუშავეს „მსოფლიოს საეკლესიო საბჭოს დებულება“, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1938 წელს.

მსოფლიოს საეკლესიო საბჭოს დებულების მიღების შემდეგ ეკუმენიკურ მოძრაობას ჩამოყალიბებული სახე მიეცა. ამ ხნიდან ამ ორგანიზაციას დიდ ფინანსურ დახმარებას უწევენ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები.

ეკუმენისტების პირველი კონფერენცია გაიმართა 1946 წლის თებერვალში შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში, მეორე კონფერენცია იმავე წლის აგვისტოში კემბრიჯში. აღსანიშნავია, რომ ამ კონფერენციას ხელმძღვანელობდა ჯონ ფოსტერ დალესი.

ამ კონფერენციებმა გამოამჟღავნეს, რომ ეკუმენიკურ მოძრაობას ეკარგებოდა თავისი ნამდვილი სახე, რისთვისაც იგი იყო მოწოდებული — ებრძოლა საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა შორის ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის. მისი საეკლესიო, სარწმუნეობრივი ხასიათი ჩრდილში მოექცა და ისეთი მიმართულება მიიღო, რომელსაც ერთი შეხედვით არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა ჰეშმარიტ რელიგიასთან.

პირველი გენერალური ასამბლეა ჩატარდა 1948 წელს, ქ. ამსტერდამში. ამ ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მთელმა რიგმა მსხვილმა ქრისტიანულმა ეკლესიებმა. ასამბლეაზე არ მიუღია მონაწილეობა რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას.

მიზეზად ამ ეკლესიებმა წარადგინეს ის, რომ ასამბლეის მუშაობაში დომინირებული პოზიცია ეჭირა პოლიტიკურ, ანტიდემოკრატიულ და არარელიგიურ საკითხებს.

1950 წელს კანადაში, ქ. ტორონტოში, ჩატარებულ კრებაზე მსოფლიოს საეკლესიო საბჭომ მეტად უცნაური, მტრული პოზიცია დაიკავა სტოკჰოლმის მოწოდების წინააღმდეგ — რისი კეთილშობილური გადაწყვეტილება მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანების მიერ მოწონებული და მიღებული იყო, — კერძოდ ატომური იარაღის აკრძალვის წინააღმდეგ, რითაც მრავალი მართლმადიდებელი ეკლესიის და კეთილი ნების მსოფლიოს საზოგადოების სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

მხოლოდ მეორე გენერალურ ასამბლეაზე, 1954 წელს, ამშში, ევანსტონში, სადაც 40 ქვეყნის ეკლესიაზე მეტი ესწრებოდა, წევრთა აქტიური გამოსვლების შედეგად, ასამბლეა იძულებული გახდა გამოეთქვა აზრი მასობრივი განადგურების, ატომური და წყალბადის ბომბების აკრძალვის შესახებ. ამავე დროს ასამბლეამ მიიღო დადგენილება დაწესებულიყო საერთაშორისო ინსპექციისა და კონტროლის ორგანო. ამის შედეგად და ამ საფუძველზე იქნა დამყარებული კონტაქტები ბევრ ეკლესიასთან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ეკუმენიკურ მოძრაობაში. მათ შორის რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საბჭოთა კავშირში ე. წ. სხვა რელიგიურ გაერთიანებასთან (და არა —დამოუკიდებელ ეკლესიებთან — როგორიც არის ქართული და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები).

ქართული ეკლესიის ეკუმენიკური მოძრაობის წევრად გახდომის საკითხი მხოლოდ 1961 წელს დაისვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II განცხადების თანახმად. საქართველოს ეკლესიამ ოფიციალურად აღძრა საქმე საეკლესიო მშვიდობის საბჭოს წინაშე მისი წევრად შერაცხვის შესახებ. საეკლესიო დოკუმენტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II ხელმოწერით გაგზავნილ იქნა ეკუმენიკთა მმართველ ორგანოში — ქრისტიანულ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, რომელიც ჟენევაშია განლაგებული (მსოფლიოს საეკლესიო საბჭოს გენერალური მდივნის ვისერ ჰუფტის სახელზე).

ქართული ეკლესია ამჟამად აკმაყოფილებდა იმ ტექნიკურ მოთხოვნებს, რასაც ეკუმენიკური საბჭო წინ უყენებდა წევრობის გახდომის მოსურნე ყოველ მართლმადიდებელ ეკლესიას (მოქმედ ეკლესიათა, დედათა მონასტრების და მონასტრების რაოდენობა, სასულიერო სასწავლებელთა რიცხვი და ა. შ.). ახლა უკვე საბოლოოდ „გარკვეული“ იყო ნაძალადევად ბურუსით მოცული ის საკითხი, რომელიც შემდეგში კიდევ ერთხელ იქნა წინ წამოწეული ბერძნული ეკლესიის მიერ, — კერძოდ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვისა 1801-1917 წლებში. მეფის რუსეთმა ცარიზმისათვის ფრიად დამახასიათებელი დაუდევრობით გააუქმა უძველესი ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. ეს აქტი ჩატარებულ იქნა ყოვლად თვითნებურად და ამავე დროს ცალმხრივად, არ ყოფილა შეთანხმებული მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიის არც ერთ ინსტანციასთან.

1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გააუქმა ეს ნაძალადევი აქტი.

1962 წლის მშვიდობის მსოფლიოს საბჭომ საზაფხულო კრებაზე (ივლისი) დაადგინა ქართული ეკლესიის ეკუმენიკური მოძრაობის წევრად მიღების შესახებ. ქართული ეკლესიის წარმომადგენელი მიწვეულ იქნა პარიზში, სადაც 7 აგვისტოდან განზრახული იყო მსოფლიოს საეკლესიო მშვიდობის საბჭოს ცენტრალური კომიტეტის სხდომის ჩატარება.

1962 წლის აგვისტოს დასაწყისში საქართველოს ეკლესიის დელეგაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II ხელმძღვანელობით პარიზს გაემგზავრა.

კრება ჩატარდა პარიზის უნივერსიტეტის „ლა მეზონ ინტერნაციონალში“, რომელსაც ესწრებოდა 39 ქვეყნის ორთოდოქსალური ეკლესიის წარმომადგენელი, მათ შორის: აშშ, იაპონია, საბერძნეთი, გფრ, ესტონეთი, ინგლისი, კანადა, ბირმა, განა, არგენტინა, უნგრეთი, კენია, რუმინეთი, რუსეთი, ინდოეთი, თურქეთი, ავსტრალია, შვეიცარია, ჩრ. ირლანდია, ჩეხოსლოვაკია, შვეიცია, გდრ, ნიდერლანდი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, კამერუნი, ლიბანი, მადაგასკარი, პაკისტანი, ბრაზილია, ნორვეგია, შოტლანდია, დანია, საფრანგეთი, ფინეთი, ჰოლანდია, ინდონეზია, პოლონეთი, სომხეთი, იტალია.

კრებაზე ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მიიღეს მსოფლიოს საეკლესიო მშვიდობის საბჭოს წევრად, ეკუმენიკური მოძრაობის წევრად.

ზ. გემაზაშვილი.

დაგეძებენ, მოგელიან



ალექსანდრე ერმალოს-ძე შველიძეს, დაბადებულს 1907 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ შროშაში, ეძებს შვილი — ამალია ალექსანდრეს ასული შველიძე.

ტერენტი (გოგა) იასონის-ძე ჩარკვიანს, დაბადებულს 1921 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ კონჩხეში, ეძებს დეიდა — ვერა დავითის ასული ჩიხლაძე.

* * *

სურათზე: ალექსანდრე შველიძე.

ვიცოდეთ საქართველო

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

კვირა ვისაქართველო

თბილისი, ზ. ანთაძის ქ. № 25.